# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№40 (9.705)

31 ოქტომბერი-7 ნოემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# არბოშიკში წყალმომარაგება გაუმჯობესდება

**რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ არბოშიკში წყალმომარაგება გაუმჯობესდება. ადგილობრივი მაცხოვრებლების ინფორმაციით, სოფელში წყალი მხოლოდ 1995 წლამდე იყო, ამის შემდეგ წყალგაყვანილობის სისტემა მოიშალა, განუკითხაობის წლებში კი ჯართის სახით გაიყიდა. ერთეულებმა ე.წ. ამორტიზირებული სისტემის გაყიდვით სერიოზული ფულადი მოგება ნახეს, სოფელი კი უწყლოდ დატოვეს.**

პროექტის განხორციელების შემდეგ, მოხდება სამი ჭაბურღილის მოწყობა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის სოფელში წყლის დებეტს. „ამ ეტაპზე ორი ჭაბურღილის მოწყობა მიმდინარეობს. ამის შემდეგ წყალი რეზერვუარში დაგროვდება, საიდანაც წყლის შემკრები აუზიდან თვითდინებით მოხდება სოფლისთვის წყლის მიწოდება. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მოსახლეობისთვის წყალგაყვანილობის სისტემის 3 კილომეტრიანი ზოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პირველ ეტაპზე სასმელი წყლით 150 ოჯახი იძნება უზრუნველყოფილი“-განაცხადა ჩვენთან საუბარში არბოშიკში გამგებლის წარმომადგენელმა მურად ელაშვილმა.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით ხორციელდება და 639 890 ლარს შეადგენს.

სოფელში მიმდინარე სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, გამგებლის პირველმა მოადგილემ სოლომონ ღორაშვილმა, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა დავით ფხოველიშვილმა, არბოშიკში გამგებლის წარმომადგენელმა მურად ელაშვილმა და ამავე სოფლის მაჟორიტარმა დეტუტატმა არსენ ბაღაშვილმა დაათვალიერეს.

*„ეს პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით ხორციელდება. 639 890 ლარია გამოყოფილი, რომელიც ითვალისწინებს სოფელ არბოშიკში სამი ჭაბურღილის მოწყობას, ასევე რეაბილიტაცია უტარდება წყლის შემკრებ აუზს. შემდეგ, წყლის შემკრები აუზიდან თვითდინებით მოხდება სოფლისთვის წყლის მიწოდება. დავათვალიერეთ ჭაბურღილები, აუზი, სადაც სამუშაოები ამ კვირაში აქტიურად დაიწყება, ასევე უბნებში წყლის მილების შეყვანა დაწყებულია.*

*საშვილიშვილო საქმე კეთდება, რადგან რამდენიმე ათეული წელია, არბოშიკში ცენტრალიზებული წყლის მიწოდება აღარ ყოფილა. აღნიშნული პროექტი არბოშიკის მოსახლეობას მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებს წლით მომარაგების საქმეს“ - განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.*

ინგა შიოლაშვილი


ციფრული მაუწყებლობა და უკმაყოფილო მოსახლეობა

გვ.3-8

მიუზიკლი ფიროსმანზე და გაცოცხლებული ნიკალა

გვ.4

საპატიო დედოფლისწყაროელის ტიტული-გერმანელ ექსპერტს

გვ.3

**ანონსი:** 30 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი წლიური ანგარიშით წარსდგა მოსახლეობის წინაშე. ვრცელ მასალას გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

C M Y K

## ირაკლი ღარიბაშვილი – დაუმსახურებელ კრიტიკას ვერ მივიღებთ ვერც ჩვენი მეგობრებისგან, ვერც პარტნიორებისგან და მითუმეტეს, მტრებისგან

დაუმსახურებელ კრიტიკას ვერ მივიღებთ ვერც ჩვენი მეგობრებისგან, ვერც პარტნიორებისგან და მითუმეტეს, ჩვენი მტრებისგან , - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, სადაც მან მედიაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ისაუბრა და 2007 წელს "იმედის" დარბევის ფაქტი გაიხსენა.

"შევახსენებთ მოსახლეობას და იმ სკეპტიკოსებს, რომლებიც ჯერ კიდევ არიან და რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ დააფასეს ეტყობა ის სიკეთეები და დემოკრატიული ფასეულობა, რომელიც ჩვენ შევქმენით ამ სამი წლის განმავლობაში. 2007 წელს "იმედი" პირდაპირ დაარბიეს, ჟურნალისტები სცემეს და გამოყარეს, ასე ვთქვათ დაიპყრეს მთელი კომპანია და ამის შემდეგ თვითონ მართავდნენ "იმედს" 2012 წლის ოქტომბრამდე. ეს არც თუ ისე შორეული წარსულია ჩვენი ქვეყნის, ამიტომ მე მინდა კიდევ ერთხელ ყველას შევახსენო, მათ შორის უცხოელებს, ჩვენს მეგობრებს, რომ ჩვენთვის ძალიან ფასეულია ის განცხადებები, რომელიც კეთდება, საინტერესოა მოვისმინოთ კრიტიკა, ოღონდ ჯანსაღი და ობიექტური კრიტიკა. დაუმსახურებელ კრიტიკას ვერ მივიღებთ, ვერც ჩვენი მეგობრებისგან, ვერც პარტნიორებისგან და მითუმეტეს, ჩვენი მტრებისგან", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა, თუმცა აღნიშნა, რომ მთავრობა რა თქმა უნდა, მოწოდებულია გააუმჯობესოს ის შედეგები, რომელიც მიღწეული იქნა ბოლო სამი წლის განმავლობაში. ირაკლი ღარიბაშვილა ხაზი გაუსვა, რომ ამ ყველაფერს სჭირდება დაფასება და სწორი შეფასება.

## ირაკლი ღარიბაშვილი – მედიაგარემო არის აბსოლუტურად თავისუფალი და ჩვენ მართლაც ლიდერები ვართ მთელ რეგიონში

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, საქართველოს მედიაგარემო აბსოლუტურად თავისუფალია. როგორც პრემიერმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, ამაზე მეტყველებს ის, რომ ქვეყნის მასშტაბით 300-მდე მედიასაშუალება ფუნქციონირებს.

„მედიაგარემო არის აბსოლუტურად თავისუფალი და ჩვენ მართლაც ლიდერები ვართ მთელ რეგიონში - არა მარტო ჩვენს რეგიონში, არამედ მე ვიტყოდი, რომ ფართო რეგიონშიც. ამას ადასტურებს იმ ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების შედეგები, რომლის მიხედვითაც საქართველო კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე გახსნილ ქვეყნად, სადაც მედიის თავისუფლება არის უმაღლეს დონეზე.

მინდა საზოგადოებას ვუთხრა, რომ საქართველოში უფრო მარტივად და სწრაფად შეიძლება გახსნა ტელევიზია, ვიდრე, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიასა ან ამერიკაში. მედიაგარემოს თავისუფლებასა და მედიასაშუალების შექმნის სიმარტივეზე ისიც მეტყველებს, რომ ქვეყნის მასშტაბით 300-მდე მედიასაშუალება ფუნქციონირებს და მათ არავითარი შეფერხება არ აქვთ ხელისუფლებისგან. პირიქით, აქვთ მაქსიმალური ხელშეწყობა - აბსოლუტურად ლიბერალური კანონმდებლობა, რომელიც ჩვენ შევქმენით. რაც ჩვენ განვახორციელეთ ეს იყო რევოლუციური ცვლილება", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, ქვეყანაში ფუნქციონირებად მედიასაშუალებებს შორის 130-მდე ავტორიზებული ტელემაუწყებელია, ასობით კი სააგენტო, გაზეთი და სხვა.

## საქართველო გაერო-ს ადამიანის უფლებების საბჭოს წევრი გახდა

ნიუ-იორკში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე, საქართველო 177 ხმით, 2016-2018 წლების ვადით, გაერო-ს ადამიანის უფლებების საბჭოს წევრად აირჩიეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საბჭოს წევრთა 2015 წლის არჩევნებში რეგიონალური პრინციპის მიხედვით გამოყოფილი იყო 18 ადგილი. საქართველო საბჭოს წევრად აირჩიეს კონკურენციის გარეშე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჯგუფისთვის გამოყოფილი ორი ვაკანტური ადგილიდან ერთ-ერთზე.

გაერო-ს ადამიანის უფლებების საბჭო გაერო-ს 47 წევრი სახელმწიფოსგან შედგება და მის ფუნქციას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფა, მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დარღვევებზე რეაგირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

"საქართველოსთვის, რომელიც პირველად გახდა ადამიანის უფლებების საბჭოს წევრი, პატივია გაერო-ს იმ ორგანოს წევრობა, რომელიც უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების გაუმჯობესების კუთხით. საბჭოს წევრობა ხაზს უსვამს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას, კიდევ უფრო დახვეწოს ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ასევე, იძლევა შესაძლებლობას საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად უფრო აქტიურად ჩაერთოს ადამიანის უფლებათა დარღვევებზე რეაგირებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გაერო-ში მიმდინარე პროცესებში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ულოცავს ყველა დანარჩენ ქვეყანას, რომელიც ასევე არჩეულ იქნა საბჭოში და მადლობას უხდის გაერო-ს წევრ-სახელმწიფოებს საქართველოს კანდიდატურის მხარდაჭერისთვის", - ნათქვამია ინფორმაციაში.

## ირაკლი ღარიბაშვილი – ჩვენ სიტუაციას სრულად ვფლობთ და ვაკონტროლებთ

ჩვენ სიტუაციას სრულად ვფლობთ და ვაკონტროლებთ, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 30 ოქტომბერს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა , რითაც ამ დღეებში გავრცელებულ აუდიოჩანაწერებს გამოეხმაურა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, უსაფრთხოების სამსახურები, პოლიცია მუშაობს 24 საათის განმავლობაში, რომ მაქსიმალურად დავიცვათ თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება, სიმშვიდე და სტაბილურობა.

"გუშინ გავრცელდა ოდესის გუბერნატორის მიხეილ საკაშვილის, ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს გიგა ბოკერიასა და "რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორს ნიკა გვარამიას შორის საუბრების ჩანაწერები. შეუძლებელია არ შეგაძრწუნოს იმ ციინიზმმა და გულგრილობამ, რომელსაც იჩენენ ის პირები, რომლებსაც ოდესღაც ქვეყნის ბედი ებარათ. ეს არის კიდევ ერთი მაგალითი, რამდენად ამორალურია მათი მიდგომა ზოგადად პოლიტიკის და ჩვენი ხალხის ბედისადმი. ეს ის ხალხია, ვინც არბევდა მშვიდობიან დემოსტრანტებს, ვინც სასტიკად უსწორდებოდა ოპონენტებს, ვინც არბევდა ტელევიზიებს, ვინც ბიზნესმენებისა და რიგითი მოქალაქეებისგან ფულის გამოძალვით იყო დაკავებული, ვინც ციხეში შექმნა ისეთი სისტემა, რომელმაც საქვეყნოდ ლაფში ამოსვარა საქართველოს სახელი. მათ ჯერაც ვერ გააცნობიერეს, რომ საქართველოში დამკვიდრდა დემოკრატია და დღეს საქართველო არის ბევრად უფრო ძლიერი, ვიდრე სამი წლის წინ და იმაზე ძლიერი, ვიდრე ეს ვინმეს წამოუდგენია. ჩვენი უსაფრთხოების სამსახურები, პოლიცია მუშაობს 24 საათის განმავლობაში, რომ მაქსიმალურად დავიცვათ თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება, სიმშვიდე და სტაბილურობა. მე გუშინ მქონდა ოპერატიული თათბირი შესაბამის სამსახურებთან და მინდა განვაცხადო, რომ ჩვენ სიტუაციას სრულად ვფლობთ და ვაკონტროლებთ", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## ირაკლი ღარიბაშვილი საზოგადოებას სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი წამების კადრების გავრცელებას კიდევ ერთხელ ეხმაურება და საზოგადოებას სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს.

როგორც ღარიბაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, საქართველო დღეს არის უფრო ძლიერი სახელმწიფო, ვიდრე იყო 3 წლის წინ და ის არ დაუშვებს არავითარ პროვოკაციებს, თუმცა საზოგადოების წევრებს მაქსიმალური თავშეკავებისკენ მოუწოდებს.

"მინდა კიდევ ერთხელ შევეხო იმ აქციებს, რომლებიც გამოწვეულ იქნა შემზარავი ფაქტების, შემზარავი ვიდეოების გავრცელებით. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ყველასთვის, ნებისმიერი მოქალაქისთვის აღმაშფოთებელია კადრების ხილვა. მე მახსოვს ჩემი პირველი რეაქცია 2 წლის წინ, როდესაც ეს კადრები ვნახე, მაგრამ მინდა საზოგადოებას მივმართო, გთხოვთ მაქსიმალურად შევინარჩუნოთ მშვიდობა. ჩვენი ქვეყნის ინტერესებში არის სტაბილურობის უზრუნველყოფა ქვეყანაში. გთხოვთ ყველანაირი ემოცია შევიკავოთ და ყველას მოგიწოდებთ სიმშვიდისკენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვართ იმაზე ძლიერი სახელმწიფო, ვიდრე ვიყავით სამი წლის წინ და რა თქმა უნდა, არავითარ პროვოკაციას არ დავუშვებთ, არც ერთი მოქალაქის სიმშვიდის დარღვევას არ დავუშვებთ, მაგრამ გთხოვთ, რომ მაქსიმალურად თავი შევიკავოთ", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მან განსაკუთრებით მოუწოდა ახალგაზრდებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ვიდეორგოლებთან დაკავშირებით საპროტესტო აქციებში და მათაც თავშეკავებისკენ მოუწოდა.

## The Wall Street Journal – ნატო რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში დამატებითი სამხედრო კონტინგენტის განლაგების საკითხს განიხილავს

ნატო რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში დამატებითი სამხედრო კონტინგენტის განლაგების საკითხს განიხილავს. ამის შესახებ გამოცემა თჰე ჭალლ შტრეეტ ჟოურნალ ჟოურნალ-ი საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით წერს. ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, პოლონეთში, ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში თითო ბატალიონს გააგზავნიან. მეორე გეგმის თანახმად, მთელ რეგიონში ნატო-ს მხოლოდ ერთი ბატალიონი - 800-დან 1 000 ჯარისკაცამდე განლაგდება. სამხედრო კონტინგენტი უშუალოდ ნატო-ს ოფიციალურ სარდლობას დაექვემდებარება.

ამერიკული გამოცემა წერს, რომ აღნიშნული გეგმა რუსეთის აგრესიის შეკავებისკენა არის მიმართული. სტატიის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ აშშ და ალიანსის სხვა წევრი სახელმწიფოები ამ ინიციატივას მხარს უჭერენ, გერმანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რუსეთის ევროპისგან იზოლირება არ სურთ.

ნატო-ში მიიჩნევენ, რომ ბერლინი სავარაუდოდ, მეორე გეგმას დაუჭერს მხარს.

აღნიშნულ საკითხზე ნატო-ს საბჭოს ოფიციალური წინადადებები ჯერ არ მიუღია.

სტატიის ავტორის მოსაზრებით, ვარშავას სამიტამდე ნატო რუსეთთან მოსაზღვრე სახელმწიფოებში დამატებით სამხედრო კონტინგენტს არ გაგზავნის. თუმცა, ალიანსში სულ უფრო ირწმუნებიან, რომ საჭიროა დამატებითი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც დაანახებს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, რომ ნატო საკუთარი ტერიტორიის დასაცავად მზად არის.

## ღარიბაშვილი: დასაქმება და სამუშაო ადგილების გაზრდა ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია

დასაქმება და სამუშაო ადგილების გაზრდა ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დასაქმების რეგიონულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესსექტორის ხელშეწყობა და ამიტომ, მთავრობა მაქსიმალურად უწყობს ხელს ჯანსაღი, თავისუფალი და კონკურენტული ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას.

„2015 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, ბიზნესსექტორი განსაკუთრებული ზრდით გამოირჩევა. მნიშვნელოვანია, როგორც მოთხოვნის ზრდა, ისე ზოგადად ბიზნესაქტივობის გამოცოცხლება. თითქმის 61 ათასით არის გაზრდილი დასაქმება ბიზნესსექტორში - ეს არის 12-პროცენტიანი ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ჩვენ წამოვიწყეთ არაერთი სახელმწიფო პროგრამა, რომლებიც ემსახურება ბიზნესის ხელშეწყობას და ქვეყანაში ეკონომიკის გაჯანსაღებას. მთავრობისა და საფინანსო ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობით ჩვენ შევძელით მეწარმეების ხელშეწყობა, ახალი საწარმოების შექმნა და არსებულის განვითარება, რამაც შედეგი გამოიღო და მეტი მოქალაქის დასაქმება შევძელით", - განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ დღეს წარმატებით მუშაობს ისეთი სახელმწიფო პროგრამები, როგორებიცაა ,,აწარმოე საქართველოში", „იაფი აგროკრედიტი", ,,ძლიერი რეგიონი - ძლიერი საქართველოსთვის".

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მხოლოდ სოფლის მეურნეობის სექტორში მთავრობის მიერ დაწყებული პროგრამებით - მათ შორის ახალი საწარმოების შექმნის მიმართულებით, დამატებით 10 000 ადამიანი დასაქმდა.

პრემიერის შეფასებით, სახელმწიფო პროგრამები ხელს უწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდას, მარტივდება ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ხდება უძრავი ქონებით უზრუნველყოფა, საკონსულტაციო მომსახურების განევა და სამუშაო ადგილების შექმნა.

„ჩვენ ბიზნესს სამი წლის განმავლობაში მაქსიმალურად კომფორტული გარემო შევუქმენით. ბიზნესი დღეს აბსოლუტურად თავისუფალი და ხელშეუხებელია. ჩვენ მაქსიმალურად გავაძლიერეთ ბიზნესომბუდსმენის აპარატი, რომელიც უშუალოდ პრემიერ-მინისტრს ექვემდებარება და ყველა ბიზნესდავა წყდება აბსოლუტურად სამართლიან გარემოში, იქნება ეს სასამართლო თუ ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭო. ბიზნესი დღეს აბსოლუტურად თავისუფლად ოპერირებს საქართველოში, თავს გრძნობს სრულიად დაცულად და ინვესტორი აბსოლუტურად თავდაჯერებულია. შედეგად, გასულ წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 87%-ით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც 2007 წლის შემდეგ ყველაზე დიდი მაჩვენებელია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 მილიარდ 700 მილიონი დოლარი შეადგინა. ჩვენ გვაქვს ძალიან მოქნილი პროგრამები, 10%-ით ვასუბსიდირებთ ბიზნესის სესხს და მათ უწევთ მხოლოდ 1-2%-ის გადახდა; უფასოდ ვაძლევთ მიწებს, ქონებას, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, რათა მეტად იყოს წახალისებული ბიზნესი და მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას საქართველოში", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს, ქვეყნის მასშტაბით, პირველად შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა განხორციელდა.

„ჩვენ გამოვიკვლიეთ შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა განწყობები; გამოვლინდა თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და გადამზადების აუცილებლობა; მოხდა სამუშაო ადგილების შექმნაზე გავლენის მქონე ფაქტორების იდენტიფიცირება; გამოვლინდა კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში დასაქმების შესაძლებლობები. ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ განათლებას, რადგან კარგად გვესმის, რომ განათლების მიმართულებით მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების გარეშე, ვერ შევძლებთ ვერც სამუშაო ადგილების შექმნას, ვერც ეკონომიკის განვითარებას. ამავე დროს, ჩვენ დიდ ძალისხმევას ვდებთ განათლების მიმართულებით. ჩვენი მთავარი მოტივაციაა, გვყავდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვალიფიციური კადრები, განათლებული თაობა, რომლებიც დააკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს და იქნებიან კონკურენტუნარიანი თანამედროვე მსოფლიოში", - განაცხადა პრემიერმა და იმედი გამოთქვა, რომ კონფერენციაზე, მსჯელობის შედეგად, ჩამოყალიბდება საერთო მიდგომა სამუშაო ადგილების შექმნის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

დასაქმების რეგიონული ფორუმი თბილისში გაეროს, მსოფლიო ბანკის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის საგენტოს წარმომადგენლობების ორგანიზებით იმართება. ღონისძიებაში სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, უკრაინისა და ბელარუსის მთავრობების წევრები, კერძო სექტორისა და ბიზნესპალატების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სამოქალაქო საზოგადოებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

# საპატიო დედოფლისწყაროელის ტიტული-გერმანელ ექსპერტს

GIZ-ის პროექტის ფარგლებში დაარსებულ ფერმერთა ასოციაციას, 5 წლის მანძილზე კონსულტაციას უწევდა გერმანიიდან ჩამოსული ექსპერტი ჰანს კელნერი. მისი მხარდაჭერით პროექტის ფარგლებში დედოფლისწყაროელ ფერმერებს გაენიათ სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული კონსულტაციები. მისი მეთოდები ითვალისწინებდა ტენდაგროვებას, ხვნაზე უარის თქმას. გაუმჯობესდა თესლის ჯიშები, ხარჯვის ნორმა და თესვის ვადები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით და სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობაზე გაზრდილი ყურადღების დახმარებით, შირაქში მიღწეული იქნა მაღალი მოსავლიანობა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაითვალისწინა ჰანს კელნერის დამსახურება და მას მიანიჭა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება.

ბატონ ჰანსს საპატიო მოქალაქის წოდების დიპლომი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა გადასცეს.

„ჩვენ გვსურდა, რომ ბატონი ჰანსისთვის ეს წოდება ფიროსმანობის დღესასწაულზე გადაგვეცა, სამწუხაროდ , მან ვერ შეძლო ჩამობრძანება. მთავარია, რომ ბატონი ჰანსი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა და ის ამაყად დაიკავებს სხვა ღირსეული საპატიო დედოფლისწყაროელების გვერდით ადგილს. მიხარია, რომ ეს მოხდა ჩემი გამგებლობის დროს“ - თქვა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

# ციფრული მაუწყებლობა და უკმაყოფილო მოსახლეობა

## ციფრული სიგნალი ოთახის ანტენისთვის გათვალისწინებული არ არის, აუცილებელია გარე ანტენა

კახეთის რეგიონი ციფრულ მაუწყებლობაზე 25 აგვისტოდან გადავიდა, თუმცა დედოფლისწყაროში ციფრული მიწისზედა მაუწყებლობა ორი დღის დაგვიანებით დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმაზე 30 მილიონი ლარი დაიხარჯა და მისი არსი თითოეული მოქალაქისთვის სასარგებლო უნდა ყოფილიყო, ცვლილებამ საზოგადოებაში დაბნეულობა გამოიწვია. მოსახლეობაში სულაც არ იყო დადებითი მოლოდინი და სათანადო ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ სატელევიზიო განათლება და გამოცდილება მაქვს, ზოგჯერ ციფრული მაუწყებლობის დეტალებში გარკვევა მეც მიჭირდა. ვეცდები, თქვენც გაგარკვიოთ ზოგიერთ დეტალში და მოგცეთ რჩევები, როგორ გავაუმჯობესოთ ტელეგადაცემების მიღება.

ქართული ტელეარხების ციფრული სიგნალი მოსახლეობას სამი მულტიპლექსით (სამი დამოუკიდებელი ანძა) მიეწოდება. ერთი თბილისის ტელერადიოცენტრიდან მხოლოდ საზოგადოებრივ არხებს და აჭარის საზოგადოებრივ ტელევიზიას ავრცელებს, მეორე მუქსი კომპანია „სტერეო+“-სს ეკუთვნის და დანარჩენი ქართული კერძო ტელეარხების გავრცელებას უზრუნველყოფს. ხოლო, მესამე მულტიპლექსით ადგილობრივი, რაიონული მაუწყებლები ვრცელდება. ვინაიდან დედოფლისწყაროს საკუთარი ტელევიზია არ აქვს, აქ მხოლოდ ორი სხვადასხვა მულტიპლექსი მოქმედებს. დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძიდან ტელერადიო ცენტრის 27-ე არხი 522 მეგაჰერც ტალღაზე და „სტერეო+“–ის გადამცემები 43-ე არხის 650 მეგაჰერც სიხშირეზე მუშაობს. მესამე მუქსის გამოყენების შესაძლებლობა აქვთ თელავის ტელეკომპანია „თანამგზავრს“, ტელეკომპანია „გურჯაანს“ და ლაგოდეხის ტელეკომპანია „ლტვ“-ს. თელავისა და გურჯაანის ტელევიზიები ციფრულ სიგნალში უკვე ჩაერთვნენ, მაგრამ, სავარაუდოდ, დამატებითი ფინანსური ხარჯების გამო დედოფლისწყაროში მათი გადაცემები არ ჩართულა. ლაგოდეხის ტელეარხი კი ჯერ ციფრულ სიგნალზე არ გადასულა, რის შემდეგაც, შესაძლოა, მათი გადაცემები დედოფლისწყაროშიც გავრცელდეს.

სამართლიანად უნდა ითქვას, რომ თბილისის ტელერადიოცენტრის მიერ დედოფლისწყაროსთვის მოწოდებული ციფრული სიგნალი ყველაზე ხარისხიანია და ამ ხნის მანძილზე არავითარი ხარვეზი არ ყოფილა. მეორე მუქსის მეშვეობით დანარჩენი კერძო არხების სიგნალი კი საკმაოდ სუსტი სიმძლავრით და გაუთავებელი ხარვეზებით ვრცელდებოდა... „სტერეო+“-ის მიერ გავრცელებული სიგნალი იმდენად ხშირად „ჭედავდა“, ამა თუ იმ ტელეგადაცემიდან შინაარსის გამოტანაც შეუძლებელი იყო. ზოგჯერ, რამდენიმე დღის განმავლობაში, გათიშული იყო. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა ნისლიან და წვიმიან დღეებში. ამ ხარვეზების წყალობით, მოსახლეობას უარყოფითი განწყობა შეექმნა და ხშირად ისმის საყვედურები.

ცვლილების პირველ ეტაპზე რიგით მაყურებელს იმდენი ხარვეზი დახვდა, მისი სიკეთე მოსახლეობას ჯერ არ უგრძვნია. ხარვეზები ერთ თვეზე მეტ ხანს რომ გაგრძელდა, შევეცადე, რეფორმაში ჩართულ უწყებებს დავკავშირებოდი და ამეხსნა, რომ დედოფლისწყაროში „სტერეო+“-ის მაუწყებლობა წარმოუდგენელი ხარვეზებით მიმდინარეობდა. თითქმის ერთი თვის განმავლობაში ვუკავშირდებოდი როგორც ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს, ტელე-რადიო ცენტრს, „სტერეო+“-სს, ისე ყველანაირ ცხელ ხაზს, რაც საგანგებოდ ამ რეფორმისთვის შეიქმნა. ჩემდა გასაოცრად, კომპეტენტურ და არგუმენტირებულ პასუხს ვერავინ მცემდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ხარვეზებზე პასუხს არცერთი უწყება არ აგებდა და ისინი გაუთავებლად ერთმანეთთან მამისამართებდნენ. ხშირად კი მპასუხობდნენ, რომ ხარვეზები კონკრეტული აბონენტის ანტენის პრობლემაა. დღემდე ისევ პასუხგაუცემელია კითხვა: თუ ანტენის გამართულობაა დამნაშავე, როგორ

ახერხებს ცუდი ანტენა საზოგადოებრივი მაუწყებლების შესაშურად კარგი ხარისხით მიღებას და იგივე ანტენა, რატომღაც, ვერ იღებს დანარჩენ მაუწყებლებს. აშკარაა, რომ ერთი სიხშირე სიგნალს ხარისხიანად ავრცელებს, მეორე ვერა. ამის აღიარება კი უწყებებს არ სურთ.

მას შემდეგ, რაც ჩემი ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, იძულებული გავხდი, წერილობით მიმემართა საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისთვის. დედოფლისწყაროელთა პრობლემები პირადად მივწერე კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაურსაც, რომელიც მანამდე ტელეკომპანია „მცხრე არხის“ გენერალური დირექტორი იყო და გაცილებით ადექვატურად რეაგირებს შენიშვნებზე, ვიდრე კომისიის წინა ხელმძღვანელი პირები. თავმჯდომარემ ჩემი წერილი კომისიის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ხატია ყურაშვილს გადასცა, მან კი შესაბამის დეპარტამენტს. ისინი მეორე დღესვე დამიკავშირდნენ, რეაგირებისთვის მზაობა გამოხატეს, ჩემთან შეხვედრა ითხოვეს და აღნიშნეს, რომ დედოფლისწყაროშიც ჩამოვიდოდნენ. მათმა ოპერატიულობამ სასიამოვნოდ გამაკვირვა. ორ დღეში კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია დედოფლისწყაროს მართლა ეწვია და სიგნალი რამდენიმე ადგილას ჩემი თანდასწრებით გაზომა. აღმოჩნდა, რომ ხარვეზები, მართლაც, მხოლოდ „სტერეო+“-ის მიერ გავრცელებულ არხებს ჰქონდა.

კითხვაზე, რატომ ვრცელდება ტელერადიოცენტრის არხები 100%-იანი სიმძლავრით, ხოლო დანარჩენი ქართული არხები მხოლოდ 35-40%-ით, „სტერეო+“-ის პასუხი იყო, რომ ასე მათი სიგნალი გაცილებით შორს გაიტყორცნება და ამ შემთხვევაში უფრო უკეთესად მიიღებენ ქედების ზონის და საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეები. კომისიის დედოფლისწყაროში ყოფნის პერიოდში მთლიანად დაზიანებული იყო „სტერეო+“-ის გადამცემი, რის გამოც კერძო არხები რამდენიმე დღით გაითიშა დედოფლისწყაროში და მათ შორის ლაგოდეხშიც, ვინაიდან, როგორც გაირკვა, ლაგოდეხის ანძა სიგნალს დედოფლისწყაროს ანძიდან იღებს. პიროვნის მიუხედავად, კომისიის წასვლის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში მაუწყებლობა ვერ აღდგა. შემდეგ ჩაირთო და ორ დღეში ისევ რამდენიმე დღით გაითიშა.

რადგან კომისიის სტუმრობის შემდეგაც ხარვეზები ისევ ფიქსირდებოდა, გადავწყვიტე, დამეწერა სტატია, რომ ციფრული რეფორმა ჩავარდა. ასეც მოვიქეცი. მასალა ინტერნეტგამოცემებში და სოციალურ ქსელებში გავავრცელე. ამით არ შემოვიფარგლე და ტელეკომპანიების „მაესტროს“, „პალიტრა ტივის“, „ობიექტივის“ დირექტორებს შევატყობინე, მეტი ყურადღება მიექციათ რეგიონებში ციფრული სიგნალის გავრცელების ხარისხისთვის. მითუმეტეს, რომ ერთი ტელეარხი მაუწყებლობის ტრანზიტისთვის ყოველთვიურად 6000 ლარზე მეტს იხდის. იმავე საღამოს პირად ტელეფონზე მირეკავს შპს „სტერეო+“ის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი დავით ზილფიმიანი. ის მიკითხავს ამონარიდებს ჩემი მასალიდან და ცდილობს დამარწმუნოს, რომ ინფორმაცია არასწორია. მე კი ვპასუხობ, რომ ადგილზე ვცხოვრობ და მასზე უკეთ ვიცი, როგორ აღწევს მაყურებლამდე მათ მიერ გავრცელებული სიგნალი. კიდევ რომ ცდილობდა ხარვეზების უარყოფას, შემდეგ უკვე დეტალურად ჩამოვთვალე რომელ დღეებში გაითიშა, რამდენ დღეში ჩართეს და ისევ რამდენ ხანში გამოვიდა მწყობრიდან. ახლა უკვე იძულებული გახდა, დათანხმებოდა. აღიარა, რომ იყო ჩავარდნა და იმდენად ხარისხიანად ვერ იყო გაკეთებული. გარდა ამისა, არგუმენტად მოჰყავდათ ის, რომ გადამცემი მოწყობილობის კაბელში წვიმის წყალმა გაჟონა და ტექნიკოსებმა არცთუ ხარისხიანად შეაკეთეს. საბოლოოდ მეგობრობა და უშუალო კონტაქტი შემომთავაზა. აღნიშნა, რომ გაუხარდება, თუ კონკრეტული ხარვეზების შესახებ პირადად მას ვაცნობებ და მომავალში ვითანამშრომლებთ. მირჩია, თუ ხარვეზებს კიდევ ჰქონდა ადგილი, ცხელ ხაზებზე დარეკვის ნაცვლად პირადად მას შევატყობინო და თუ სადმე სიგნალი სუსტია, პირობას დებს, რომ კიდევ ერთ ანძას დადგამს.

(გაგრძელება გვ.8)

# მიუზიკლი ფიროსმანზე და გაცოცხლებული ნიკალა

ფიროსმანზე არაბესკები, მუზიკლები „ფიროსმანზე“,სიმღერები ფიროსმანზე, არაერთი მწერლისა თუ მკვლევარის მიერ შექმნილი წიგნები ფიროსმანზე, ფილმები ფიროსმანზე, მსოფლიოში გაბნეული გალერეები ფიროსმანზე, რესტორნები, სხვადასხვა ქვეყანაში მრავალეროვანი ჟურნალების გამოცემა ფოროსმანზე და ბოლოს ფიროსმანი „კრისტის“ აუქციონზე, ფიროსმანი - ცნობილი რუსი დიზაინერის, ალექსანდრ არუტუნოვის შთაგონების წყარო....

ვინ მოთვლის კიდევ რამდენი შემოქმედის მუზა და რამდენი ადამიანის ბიზნესის ინტერესი თუ მოგებაა ფიროსმანი!

დიახ, უნდა ვაღიაროთ, რომ ფიროსმანის თემით შეფუთული ნებისმიერი მასალით, ნებისმიერი შემოქმედისთვის გამოსვლა სააშკარაოზე, ბევრად მწვანითმოფენილი გზაა, ვიდრე სხვა თემა, ან საკითხი. მართლაც, რამხელა უნდა იყო შემოქმედი, რომ შენი შემოქმედება კვლავ შემოქმედებისთვის აიღონ მასალად და ახალბედა შემოქმედებსაც კი ხელი გაუწოდო დიდ და რთულ გზაზე. რუსთაველის შემდეგ ალბათ იმდენი წიგნი და ნაშრომი არ შექმნილა არავისზე, რამდენიც ფისროსმანზე. ძალიან დიდი ფუფუნებაა, რომ ჩვენს კუთხეში, ჩვენმა პატარა სოფელმა შობა კაცი, რომელიც კაცობრიობაზე მეტად უფალს ჰყვარებია, უფალს, რომელსაც ათას ამაყ ადამიანზე მეტად ერთი გლახაკი, თავმდაბალი ადამიანი ყველაფერს ურჩევნია. სწორედ მან გახადა ფიროსმანი სიკვდილის შემდეგ უდიდესი შემოქმედი და ეს ბედისწერა იყო...



სარდაფი, სადაც ფიროსმანი გარდაიცვალა, გუდიაშვილის ნახატი

ხელოვნებას ენა არ სჭირდება, ხელოვნება მსოფლიოს ადამიანებს ენის გარეშე ასაუბრებს ერთმანეთთან. ფიროსმანმა მხოლოდ ქართული იცოდა და იმასაც ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ დღეს მას მსოფლიო იცნობს და, რაც დრო გადის, უფრო და უფრო გაუხუნარი ხდება ფიროსმანის ტილოები სრული და გადატანითი მნიშვნელობით. წარმოვიდგინოთ ქართული, ანდა რუსული ესტრადა ფიროსმანის ფენომენის გარეშე, ქართული მხატვრობა, ქართული კულტურა და საერთოდ, ქართული თავმოწონება დიდი მხატვრის გარეშე. ამ ყველაფრის შემდეგ ისმის კითხვა, რა არის ფიროსმანში ასეთი დიდი, რომ ამხელა მასშტაბებს უტოლდება მისი თემა?!

ამაზე, ალბათ, არაერთ ადამიანს უფიქრია და პასუხს ეძიებს... ნათქვამია, ხელოვნება კაცობრიობის ნამუსიაო, ყველა დროის ხელოვნება იმ დროის ყოფას ასახავს, რა საზრდოთითაც საზრდოობს ის ეპოქა. ფიროსმანის ერთ-ერთი მკვლევარი დიმიტრი შევარდნაძე ფიროსმანზე ამბობდა: – „ჩემი აზრით, იგი იყო ერთადერთი მხატვარი, რომელმაც ნამდვილი ხალხური გადმოცემის სიცხოველით მოგვცა მთელი XIX საუკუნის ქართული ყოფა-ცხოვრება“. მკვლევარი თემო ჯაფარიძე კი ამბობდა: - „იმისათვის, რომ ნიკო ფიროსმანის ფენომენი სწორად გავიგოთ, უპირველეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, თუ რა ეპოქაში მოუწია მას ცხოვრება, როგორი ესთეტიკური მიმართება გააჩნდა მისი დროის მსოფლიოს.“ უნდა ვაღიაროთ, რომ ფიროსმანის ჯადოსნურ ფუნჯთან და საღებავებთან ერთად, ადამიანებს ის სუფთა და წრფელი ყოფითობა ხიბლავს მასში, რასაც ფიროსმანის ნახატები გვიყვება, რა გულწრფელობაც სწორედ იმ ეპოქაში ტრიალებდა და რასაც დღეს, აუწონავი ფულითაც ვერ ვიყიდით და რაც დღევანდელობისთვის, ქართული ტელეარხების და მდაბიური გადაცემების ფონზე, ძალიან დიდი დეფიციტია.

საუკუნეებს გაჰყვება ნიკო ფიროსმანისგან მიღებული, სიამაყე საქართველოს ფიროსმანისა, რომლის შემოქმედებაც ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა ქართველებისთვის მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

ამ დღეებში სოფელ ხორნაბუჯის სკოლაში გამართული ღონისძიებაც ამის დასტური იყო. მე მრავალი ღონისძიება მინახავს ფიროსმანზე სკოლის მოსწავლეების მიერ შექმნილი, თუმცა პროფესიით მხატვრის მიერ გაკეთებული მიუზიკლი არა. ამ სკოლის ხელოვნების პედაგოგმა, მხატვარმა და თავად შემოქმედმა, რუსუდან კიკილაშვილმა თავისი მოსწავლეები სკოლის სცენაზე დააყენა და ფიროსმანი გააცოცხლა. შესრულდა ფიროსმანზე შექმნილი ლექსები, სიმღერები და, რაც მთავარია, სცენარები. მხატვრული გაფორმება და დეკორაცია თავად პედაგოგ რუსუდან კიკილაშვილს ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ, ამჯერად, ფიროსმანი არაქართველი ეროვნების სომეხმა, რუსმა და ბერძენმა ბავშვებმა დადგეს.

-„ცნობები ფიროსმანის ცხოვრების შესახებ უმეტესად შეკრებილია მისი გარდაცვალების შემდეგ. დაიბადა გლეხის ოჯახშიმირზაანში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ფიროსმანი 14 წლის ყოფილა, რომ მწყემსად დამდგარა, რამდენიმე წლის მწყესობის შემდეგ მის ახლობლებს გადაუწყვეტიათ, რომ ნიკო თბილისში გადმოეყვანათ საცხოვრებლად. ბავშვობაშივე იჩენდა დიდ ინტერესს მხატვრობისადმი, ბევრს ხატავდა კიდეც. სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. 1880-იან წლებში თვითნასწავლ ვინმე ზაზიაშვილთან ერთად გახსნა ფერწერის სახელოსნო და აბრების შეკვეთებს იღებდა. 1890-1894 კონდუქტორად მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე, შემდეგ ვაჭრობაშიც სცადა ბედი. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისელ მედუქნეებთან და მიკიტნებთან აფარებდა თავს, მათი შეკვეთით ხატავდა აბრებს, პორტრეტებს, სურათებს. სიცოცხლის ბოლომდე გაჭირვებას თავი ვერ დააღწია; ქართველ მხატვართა საზოგადოება დროდადრო ცდილობდა შეემსუბუქებინა მისი ხვედრი. თუმცა ფიროსმანაშვილი მარტოობაში გარდაიცვალა და მისი საფლავიც უცნობი დარჩა.“-ყვებიან მოსწავლეები. მიუზიკლში ფიროსმანის როლს ასახიერებდა მოსწავლე გიორგი ლეკაშვილი, მეთევზე იყო - დიმა პუტი, მარგარიტა გახლდათ -ალაჩკა გლაზინი, მეეზოვე - დავით ზოროღლიანი. წამყვანები იყვნენ ყარაჩოღელები და ანა ჩუთლაშვილი, რომელმაც ასევე ვიოლინოზე დაუკრა კომპოზიტორ ირაკლი კიკილაშვილის ნაწარმოები მუზიკლიდან „ფიროსმანი“. ბავშვებმა იმდენად კარგად მოირგეს როლები, რომ მუზიკლის დასრულება მაყურებელს არ სურდა და კვლავ მოითხოვეს რამდენიმე ნომრის გამეორება.

-„ესენი ჩემი პატარები არიან, ჩემი სადამრიგბლო კლასია, უახლოეს მომავალში ამ ღონისძიებას ფართო საზოგადოებას ვაჩვენებ, ვგეგმავთ დიდ ღონისძიებას, სადაც მთელი სკოლის მოსწავლეებს ჩავრთავთ. ეს იქნება ხელოვნების ზეიმი. სანამ მე ვდგავარ სკოლაში ხელოვნების სადარაჯოზე, იქამდე გავააქტიურებ ხელოვნებაზე ფიქრს ბავშვებში და გავუღვივებ მათ ხელოვნებისადმი ინტერესს ... მე ზუსტად ვიცი, რომ ისინი თავიანთ სიტყვას იტყვიან როგორც ფიროსმანზე, ასევე დიდი ტრადიციბის მქონე ას წელს გადაცილებული სკოლის ისტორიაში.“-თქვა ჩვენთან საუბარში ღონისძიების სულის ჩამდგმელმა პედაგოგმა რუსუდან კიკილაშვილმა.

და მაინც, ძალიან ბედნიერნი ვართ, რომ იმ ადგილის სიახლოვეს ვცხოვრობთ, სადაც ფიროსმანი დაიბადა და გაიზარდა. მის მიერ დანახულ ფერთა სამყაროს შევყურებთ, მის ნაფერებ სერებს და ბალახს ხშირად ვაბიჯებთ. მისგან ვერც რკინიგზის მუშაკი დადგა, ვერც ვაჭარი და სოვდაგარი,-არც სჭირდებოდა. ის უბრალო, თავმდაბალი ადამიანი იყო, რომელსაც დიდი გული ჰქონდა, იმდენად დიდი, რომ ბოლო კაპიკები საყვარელი ქალისთვის საყიდელ ვარდებში გადაიხადა და არც შეშინებია იმის, თუ მეორე დღით პურის ფული და ჭიქა არყის დასალევი ხურდა აღარ ექნებოდა, არც ის უთაკილია, თუ სხვისი სახლის კიბის ქვეშ ექნებოდა ბინა, არც იმ კიბისქვეშ შიმშილით სიკვდილის შეშინებია. ასე თავმდაბლურად მხოლოდ ქიზიყში, ჩვენს მიწაზე დაბადებულ კაცს თუ შეეძლო .... “მე რომ ასი მანეთი მაინც მქონოდა, კარგ ტანსაცმელში გამოვეწყობოდი, ოთახს დავიქირავებდი, მაშინ კი ვხატავდი და ვხატავდი,” — ნიკალას ეს ოცნება ბოლომდე აუსრულებელი დარჩა. წავიდა მარტოსული, მაგრამ დღესაც ცოცხლობს „მუშა“, „მეთევზე“, „აქტრისა მარგალიტა“, „შველი ნუკრით წყალზე“, „დათვი ბელებით“ „ქორწილი ძველ საქართველოში“, „კრუხი წიწილებით“, რომლებიც მთელს მსოფლიოს აფიქრებს ცხონებულის მადლიან და საოცარ ფუნჯზე.

ლალი მეხრიშვილი

# „ეთხოვებოდნენ მზეს დედაენით“...

ეროვნული სასწავლო გეგმის ახალ რედაქციაში დაწყებითი კლასის დამრიგებლის საქმიანობის ერთ-ერთ ასპექტს კლასის საათის რეგულარულად ჩატარება წარმოადგენს, რომლის მთავარი მიზანია, მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.

27 ოქტომბერს, N1 საჯარო სკოლის მეოთხე ბ კლასში ჩატარებული კლასის საათი იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175 -ე წლისთავს მიეძღვნა. კლასის დამრიგებელი ქეთინო დავითაშვილი ყოველთვის ზუსტად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. მან შესანიშნავად უწყის, რომ საკლასო ცხოვრებაში განხორციელებული აქტივობები (ზეიმები, ექსკურსიები, ლაშქრობები) ხელს უწყობს მოსწავლეებში მომავალ დამოუკიდებელ ცხოვრებაში წამოჭრილი სირთულეების მოგვარების უნარ-ჩვევების გამომუშავებას და თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას.

კლასის საათზე მოსწავლეებმა მშობლების, დაწყებითი სწავლების პედაგოგებისა და სკოლის დირექტორის თანდასწრებით კიდევ ერთხელ შეახსენეს ერთმანეთს იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია, გაიხსენეს მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები, ისაუბრეს მის მიერ დატოვებული საგანძურის შესახებ, სლაიდების მეშვეობით ერთხელ კიდევ გადაავლეს თვალი მისი საცხოვრებელი სახლის პირვანდელ სახეს და ეზო-ყურეს, მის ხელნაწერებს, დედაენის ძეგლს, მის საფლავს, დადგეს იმიტირებული “იავნანამ რა ჰქმნა?”, შესრულდა მრავალჯამიერი, ცეკვა”დაისი”, საქართველოს ჰიმნი, მოვისმინეთ უამრავი ლექსი იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებიდან, მოეწყო გამოფენა მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრებისა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების მიხედვით.

კლასის საათის ბოლოს ტესტების საშუალებით მივიღეთ მოსწავლეთაგან უკუკავშირი შემდეგი კითხვების მეშვეობით: რა მომეწონა, რაზეც მეტი მინდა გამეგო და რას შევცვლიდი?- საც მოსწავლეთა ინდივიდუალიზმი გამოიხატა, მათი ხედვა და ცოდნის დონე წარმოჩინდა, ამით კი კლასის დამრიგებელს საშუალება ეძლევა, შემდგომი შეხვედრა უფრო ეფექტიანად დაგეგმოს.

დასასრულს სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა მადლობა გადაუხადა მასწავლებელს და ბავშვებს ასეთი საინტერესო და შემოქმედებითი გაკვეთილისთვის:

“-მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი დაუვიწყარი კლასის საათისთვის, რომელიც ბუმბერაზი ადამიანის იუბილეს მიუძღვენით, ადამიანისა, რომელმაც უდიდესი საგანძური დაგვიტოვა. ილიას სიტყვებს მოვიშველიებ და შეგახსენებთ, ბავშვებო, რომ სამი ღვთაებრივი საუნჯე გვაბადია, მამული, ენა, სარწმუნოება, ქართული ენის დაცვა გაიგივებულია სამშობლოს დაცვასთან, ამიტომ , თქვენ ყოველთვის მინდა გიხილოთ ქართული ენის სადარაჯოზე, მჯერა, ბევრ წარმატებს მიაღწევთ და ასახელებთ სკოლას. მადლობას ვუხდი თქვენს პედაგოგს და მშობლებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ჩვენი სკოლის ცხოვრებაში და მხარში გვიდგანან მუდმივად.”

დაწყებითი კლასის პედაგოგებმა მარინა ინასარიძემ და ნუნუ ბეგიაშვილმა მადლობა გადაუხადეს მათ კოლეგას ქეთინო დავითაშვილს ასეთი შემოქმედებითი და სანახაობრივად დატვირთული კლასის საათის ჩატარებისთვის , ხოლო მოსწავლეებს იაკობ გოგებაშვილისა და მისი შემოქმედების მიმართ გამოხატული დიდი სიყვარულის გამო.

ელზა ხარაშვილი

# „ოქროს ქოშებით მობრძანდა ოქროსთმიანი ქალწული“...

დადგა ბარაქიანი შემოდგომა და საბავშვო ბაღებში “შემოდგომის ფესტივალი” დაიწყო. გასულ წელს ამ პროექტის ფარგლებში უამრავ საბავშვო ბაღს ვესტუმრეთ და მრავალი ლამაზი ღონისძიების მონაწილე გავხდით. 29 ოქტომბერს N1 საბავშვო ბაღში მიგვიწვიეს 4-5 წლიანთა ჯგუფის შემოდგომის ზეიმზე. პედაგოგ დალი მაძღარაშვილს 10 წლიანი პედაგოგიური გამოცდილების ფონზე მეორე დებიუტი ექნება ამ ბაღში წელს და შესაბამისად, ღელავს... თანაშემწე ელენე პოპიაშვილი და მუსიკის მასწავლებელი მარინა ბოსტაშვილი მასზე არანაკლებ ღელავენ. ორიგინალურ კოსტიუმებში გამოწყობილი პატარები კი იმედის თვალით შესცქერიან მათ, იციან, რომ ლექსი თუ შეეშლებათ ან დაავიწყდებათ, მათ მასწავლებელი შეახსენებს, თუმცა, პატარები თავს არ ზოგავენ, მასწავლებლებს იმედები გაუმართლონ და მოწვეული სტუმრების წინაშე ასახელონ. ღონისძიების მიზანია, პატარებისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხის კულტურისა და ტრადიციების გაცნობა და ამის ფონზე შემოდგომის ბარაქის ჩვენება კახეთში, რომელიც ცნობილია “შემოდგომის ადგილის დედად”. ანასტასიამ, ანანომ, თათულიმ, ნიამ, ელენემ, ირაკლიმ, გიგამ, ლაშამ, ლიზიმ, დათამ, ალექსანდრემ, დაჩიმ, ნიკოლოზმა, ზურამ, ლუკამ, ბარბარემ, მართამ, ხატიამ, თამუნამ საინტერესო ნომრები წარმოადგინეს “ოქროს ქოშებით” მობრძანებული შემოდგომის თემატიკაზე.

- როგორ შეიცვალა ბუნება შემოდგომაზე, რა ბარაქით მოდის ის ჩვენთან, რომელი ჯიშის ყურძენი მოდის ამ კუთხეში, ეს იმ კითხვათა არასრული ჩამონათვალია, რომელზეც მთელი ზეიმის მანძილზე ბავშვები სხვადასხვა სანახაობების დახმარებით იძლეოდნენ პასუხებს. შესრულდა უამრავი ცეკვა, სიმღერა, ლექსები, ინსცენირებები.

ღონისძიების დასასრულს ბაღის დირექტორმა ქეთინო დოლიძემ მადლობა გადაუხადა ბავშვებს და პედაგოგებს ასეთი საინტერესო და შთამბეჭდავი ზეიმის მოწყობისთვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საალმზრდელო ცენტრის თანამშრომლები, სხვადასხვა ბაღებიდან მოწვეული სტუმრები. დასასრულს მოწვეულმა სტუმრებმა, მშობლებმა და პედაგოგებმა პატარებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თათარის მომზადებასა და ჩურჩხელების ამოვლებაში.

ელზა ხარაშვილი

# მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა გრძელდება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყეს ახალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება, რომელიც მიმართულია წარმოების შემდგომი განვითარებისა და წახალისებისაკენ.

პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა, ამასთანავე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის საშუალებით.

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა იმ ადამიანებთან, რომელთაც სურთ საკუთარი მცირე საწარმოების შექმნა. ამ პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, არა მარტო ერთი ადამიანი დასაქმდება, არამედ წარმოების გაფართოების შემთხვევაში, ის იზრუნებს თანამოქალაქეებისა თუ თანასოფლელების დასაქმებაზეც. ამიტომ გასაკვირი სულაც არ გახლავთ, რომ რეგიონებში საკმაოდ ბევრი მსურველია, ვისაც აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა სურს.

ბიზნესკონსულტანტმა გივი გიგაურმა მეწარმეობის მსურველებს გააცნო ბიზნეს გეგმების შეფასების 21 პარამეტრი. შეხვედრაზე დაისვა ის კითხვები, რომლებიც მომავალ ბიზნესმენებს აინტერესებდათ. თითოეულ კითხვაზე მათ კვალიფიციური პასუხი მიიღეს. „ჩვენ ვაძლევთ ვიზირებას ამა თუ იმ ბიზნეს-პროექტს, ამიტომ ჩვენი ვალდებულებაცაა და პასუხისმგებლობაც, რომ მათ მივცეთ სწორი გზა, სწორი მიმართულება მათი შედგენისას, რათა ყოველი ნიუანსი და დეტალი გაითვალისწინონ. ჩვენი სურვილია, რომ ეს პროექტი, რომელიც უპრეცედენტოა საქართველოში, რეალურად გახდეს სახალხო პროექტი და მცირე რესურსის არსებობის შემთხვევაშიც კი დაფინანსდეს ის ადამიანი თუ ბიზნეს-ჯგუფი, ვისაც სურს, რომ საკუთარ თავს შეუქმნას შემოსავალი“-აღნიშნა შეხვედრის დასრულებისას გივი გიგაურმა.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში და მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას მეწარმეების დაფინანსებისა და ცოდნის ამაღლების გზით. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მოიპოვონ თანადაფინანსება იდეის განსახორციელებლად (5,000 ლარამდე 1 მეწარმე, 10,000 ლარამდე 2 მეწარმე, 15,000 ლარამდე 3 მეწარმე).

ინგა შიოლაშვილი

# ტკივილიანი სიხარული

თითქმის ერთი თვე მიილია, რაც ოზაანელი დავით ჩალახეშაშვილი ვოლგოგრადიდან ჩამოასვენეს და მშობლიურ მიწაში-მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლთა მემორიალთან დაკრძალეს. მაშინ ჩვენი გაზეთი პატარა ანონსით გამოეხმაურა ამ ამბავს და დაგპირდით, რომ ვრცელ მასალას აუცილებლად მოგაწვდიდით. ჩვენ ჩვენს სიტყვას არასოდეს გადავდივართ და ჩვენს ერთგულ მკითხველს იმედებს არ ვუცრუებთ. დაპირებული სიტყვისათვისაც და იმისათვისაც, რომ ერთი თვის შემდეგაც ისევე ემოციურია ჩემთვის ეს მოვლენა, როგორც იმ შემოდგომის თბილი მზით გაჩახჩახებულ დღეს, მე მინდა, დავუბრუნდე ამ თემას. აქვე განგიმარტავთ, რომ ველოდი ფოტომასალის გადმოგზავნას რუსეთიდან, რომელიც დავით ჩალახეშაშვილის გამოცილებას და მხედრული პატივის მიგების ცერემონიას ასახავს.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა საქართველოს ომის, შრომის, სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **რევაზ ნაცარიშვილმა**: - ადამიანთა თავდადება არ იკარგება და არ ხუნდება. ჩვენ რუსეთის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამძებრო-საკვლევი ორგანიზაციების დახმარებით ეს უკვე მერვე უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლის ნეშტი ჩამოვასვენეთ. ბედნიერია დავით ჩალახეშაშვილი, რომელსაც ღირსეული მემკვიდრეები ჰყავს, რომლებმაც არ დაიშურეს ძალა და ენერგია, რომ ასეთ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, ამხელა მანძილზე საკუთარი სიცოცხლე და ჯანრთელობა კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინათ და პაპის ნეშტის ჩამოსატანად გამგზავრებულიყვნენ. მადლობა მათ. დიახ, ბედნიერია, რომ მას აქ, მშობლიურ კერაზე, შთამომავლობა ელოდებოდა. არადა, რამდენ ახალგაზრდას არ დარჩა არც შვილი და არც შვილიშვილი, წავიდა და გაქრა უკვალოდ, მის მოლოდინში ჩაიფერფლა მათი მშობლების, და-ძმის, ბიძაშვილ-მამიდაშვილების სიცოცხლე და მომკითხველიც აღარავინ დარჩათ. დიდება ყველა იმ მებრძოლს, ვინც თავი შესწირა ფაშიზმთან ბრძოლას. ჩვენ ვაგრძელ;ებთ კავშირს რუსეთის სამძებრო-საკვლევ ორგანიზაციებთან. ამჯერად კიდევ ორი მებრძოლის მონაცემები გვაქვს მიღებული და მათ შესწავლაზე ვმუშაობთ, - თქვა ბატონმა რევაზმა და სიტყვა ბატონი დავითის შვილიშვილს **ინგა ჩალახეშაშვილს** გადასცა.

- „ისინი წვანან სიჩუმეში და სძინავთ სამარადისო ძილით, წვანან და სდუმან, იქნებ, სტკივათ ჭრილობები, იქნებ შიათ ან სწყურიათ, ვინ იცის, სად მარხია მტრის ტყვიით დაცხრილული პაპაჩემის ძვლები“- აი, ამ სიტყვებით, ჩემი მოსწავლეობის პერიოდში ვიხსენებდი ჩემს პაპას და დღეს მაქვს ამის პასუხი- პაპაჩემის ნეშტი 73 წელი განისვენებდა ვოლგოგრადის ოლქის, ხუტორ ბუერაკ- პოპოვსკის მიწაში და სამშობლოში დაბრუნებას ელოდა.

მამაჩემი, იაგო ჩალახეშაშვილი, წლების განმავლობაში ექსკურსიებზე დადიოდა რუსეთის ქალაქებში და ძმათა სასაფლაოებზე სულ ეძებდა პაპაჩემის კვალს, მაგრამ ვერსად პოულობდა. და აი, 29 ივლისს, სრულიად მოულოდნელმა ინფორმაციამ დავით ჩალახეშაშვილის ნეშტის პოვნის თაობაზე, მთელი ოჯახი აგვაღელვა და მამის ნაადრევად დაკარგვის შედეგად მიყენებული ჭრილობა გაგვიახლდა. ეს ინფორმაცია ჩვენ მივიღეთ ვეტერანთა ასოციაციის თავმჯდომარის ბატონ რევაზ ნაცარიშვილის მიერ. შემდეგ კი ოზაანში ჩამოვიდა საქართველოში რუსეთის ომის მონაწილეთა კავშირის თავჯდომარე ვალერი სვარჩუკი და დედოფლისწყაროს ვეტენთა კავშირის თავჯდომარე ზურაბ ქავთარაძე. მე მინდა, ჩვენი ოჯახის სახელით, უღრმესი მადლობა გადავუხადო მათ დახმრებისათვის, იმისათვის, რომ პაპაჩემის ნესტი ახლა ქართულ მიწა-წყალზეა.

ჩემი ძმა დავითი და ბიძაშვილი გიორგი 17 სექტემბერს გაეგზავრნენ ვოლგოგრადში, სადაც დახვდათ ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე სოსო გოგსაძე და ვეტერანთა ასოციაციის წარმომადგენლები; ოლეგ ტიკუნოვი, ვალერი პოპოვი დენის სოლოვიევი, ვიაჩესლავ რეშეტოვი, ანასტასია სალავიოვა, ირინა იაროვა. მათ დიდი პატივისცმით მიიღეს და მეგზურობა გაუწიეს იმ ადგილას, სადაც პაპის ნეშტი იპოვეს იტალიელმა კრისტიან ჩიეტამ საძებრო ჯგუფ „კრასნოარმიეც“-ის წევრებთან ერთად. უღრმეს მადლობას ვუხდით მათ ასეთი დახმარებისათვის.

ასევე დიდ მადლობას ვუხდი

დავით ჩალახეშაშვილის გამოცილება რუსეთიდან

რაიონის გამგეობას, საკრებულოს და გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლებს თანადგომისა და დახმარებისათვის,

მადლობას მოგიხდით ყველა აქ მოსულ სტუმარს დაფასებისა და პატივისცემისათვის, ჩვენ, მემკვიდრეებმა 73 წლის შემდეგ, ენერგია არ დავიშურეთ და აქამდე ჩამოვასვენეთ მისი ნეშტი. ჩვენ, მის შვილიშვილებს და შვილაშვილებს, მუდამ გვემახსოვრება გმირი ოფიცერი დავით ჩალახეშაშვილის სახელი.

მსუმბუქი იყოს, პაპა, შენთვის ეს ქართული მიწა, ნათელში იყოს შენი სული და მარადის იყოს შენი ხსენება, - თქვა ირმამ და ცრემლი მოჰგვარა დამსწრეთ.

საგულისახმოა, რომ დავით ჩალახეშაშვილის სახლი, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა, სნორედ მემორიალის მოპირდაპირედ, გზის მეორე მხარეს დგას. ალბათ, რამდენჯერ ურბენია, უჭიდავია და ბავშვობის ლაღი წლები გაუტარებია სწორედ აქ, ამ მიწაზე, რომელმაც 73 წლის შემდეგ მისი ძვლები მიიბარა.

- დღეს დიდი დღეა, 73 წლის შემდეგ მის შთამომავლებთან და თანასოფლელებთან ერთად, მშობლიურ მიწას მივაბარეთ ოფიცერი დავით ჩალახეშაშვილის ნეშტი. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს იყო ჩვენი, ყველას ომი, ჩვენ ვიცავდით მამულს და ყველა ერთად ვებრძოდით ფაშიზმს. მჭიდროა კავშირი ქართველ და რუს ხალხებს შორის, ჩვენ საერთო ისტორიული მოვლენები გვაერთიანებს. არასოდეს დამავიწყდება ოჯახის წევრთა სიხარული და სიყვარული, რომელიც მათთან სტუმრობისას ვიგრძენი ამ ინფორმაციის მიწოდებისას. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს, - თქვა თავის გამოსვლაში საქართველოში რუსეთის სამამულო ომის მონაწილეთა კავშირის თავჯდომარემ **ვალერი სვარჩუკმა**.

- შენ სულ ახალგაზრდა, 20 წლის ღიმილის ბიჭი იყავი, როცა სამშობლოს დასაცავად ფრონტზე წახვედი. სახლში დატოვე საყვარელი მეუღლე და ჯერ არდაბადებული შვილი. მედგრად იბრძოდი. წინ, წინ მიიწევდი. თვალწინ გედგა მეუღლის მავედრებელი თვალები: გთხოვ, დამიბრუნდიო. ანუგეშებდი: - ომი მალე დამთავრდება, დავბრუნდები და ერთად გავზრდითო შვილებს, მაგრამ უშენოდ დაიბადა შენი შვილი ვაჟა ჩალახეშაშვილი, რომელსაც შენი სურვილით იაგო დაარქვეს და მთელი სოფელი ამ სახელით იცნობდა.

მეუღლე გიგზავნიდა წერილებს, სადაც ვაჟის პატარა ხელები იყო აღბეჭდილი. როცა ბრძოლით დაღლილი სანგარში იჯექი, ეფერებოდი პატარა თითებს და ნატრობდი მათ მალე ნახვას. გულის ჯიბეში სათუთად ინახავდი, თან დაატარებდი. ამ წერილების გაყვითლებული ფურცლები დღემდე შემორჩა შენს მაზარას. ომი დამთავრდა. ბევრი მამა, ქმარი, ძმა დაბრუნდა ოჯახში, შენ კი- არა. გაიზარდა იაგო. უშენოდ დავაჟკაცდა, დაქორწინდა, გამრავლდა. დიდხანს ეძებდა შენს საფლავს. უნდოდა, მამის ძვლები მშობლიური მიწისთვის მიებარებინა. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ეს ნატვრა ვერ შეისრულა. ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და აი, შენმა შვილიშვილმა. შენმა მოსახელე დავით ჩალახეშაშვილმა აასრულა მამის ნატვრა და მისი ნათელი მომავლისათვის მებრძოლი პაპის ძვლები სამშობლოში, მშობლიურ მიწაზე დააბრუნა. სამწუხაროდ, შვილის უნახავი წახვედი და შვილის უნახავი დაბრინდი, ვერ მოგაყარა მიწა თვის ხელით შენმა ერთადერმა ვაჟმა. სამაგიეროდ, აქ არიან და ცრემლებს გაყრიან. შენი საყვარელი და - მარიამი, რძლები, სიძეები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. ცრემლს გაყრის მთელი სოფელი, როელსაც კვლავ გაუახლდა ძველი ტკივილები. იძინე ტკბილად, ბატონო დავით. შენ უკვე აქ ხარ, შენს მშობლიურ სოფელ ოზაანში. აქ არიან შენი თანამებრძოლებიც, რომელთა ძვლებს არ ეღირსათ მშობლიური მიწა, არ ეღირსად ოჯახის ცრემლი. მუდამ გაუხუნარი იქნება შენი მაზრა და ნათელი ხსოვნა!!! – ასე მიმართა სოფლის და ახალგაზრდობის სახელით ოზაანის საჯარო სკოლის... კლასის მოსწავლემ... და ეფინებოდა ოზაანის ტყეებს მჭექარედ ნათქვამი „ღიმილის ბიჭი ვიყავი, ბეჭზედ არწივი მეხატაო“, იქვე „არ დაიდარდო, დედაო, რაც მე სიკვდილით ვატკინეო“ და ბრძოლის ყიჟინად დამღერებული „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცესო“. დიხ, ასე მღეროდნენ და ლექსაობდნენ სალომე თარაშვილი, რუსუდან და ნინო ცქიტიშვილები, ნინო მეხრიშვილი, თეონა თევზაძე, რადგან მათ და მათ თანატოლებს ეკუთვნის მომავალი, ზრუნვა სამშობლოზე და ერზე.

მიტინგს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და საკრებულოს წევრები, გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და გამგეობის თანამშრომლები, სოფლის მოსახლეობა, სკოლის პედაგოგეგბი, ოჯახის ახლობლები და მეგობრები.

**ზვიად ჯავახიშვილი** - მინდა, სამძიმარი ვუთხრა და თან სიხარულიც გავიზიარო ჩალახეშაშვილების ოპჯახისა, რომელმაც 73 წლის შემდეგ ოჯახის უფროსი იპოვა. მადლობა ყველა ორგანიზაციას ჩვენთანაც და რუსეთშიც, ვინც დაეხმარა დავით ჩალახეშაშვილს პაპის ძვლები მშობლიური მიწისთვის მიებარებინა და მის შთამომავლებს ქართული, ქრისტიანული წესით პატივი მიეგოთ მათი წინაპრის ხსოვნისათვის.

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი** - დავით ჩალახეშაშვილის სახელით დღეს ყველა იმ ადამიანს დაუბრუნდა პაპა, ძმა თუ მამა, ვინც ათეული წლები მოლოდინში გაატარა. ბატონი დავითი დღეს ყველა ჩვენგანის პაპაა, ჩვენი სიკეთისთვის თავდადებული. ამიტომ ის ჩვენგან დიდ მოწიწებას და პატივისცემას იმსახურებს. როდესაც ეს ამბავი შევიტყეთ, გამგეობის და საკრებულოს ყველა თანამშრომელი ერთსულოვანი იყო, გამოგვენახა ფინანსური დახმარებისათვის გზა, რათა ეს საშვილიშვილო საქმე წარმატებით დამთავრებულიყო. მადლობა უფალს, დღეს თითოეული ჩვენგანი მისი ნეშტის მშობლიურ მიწაში დაკრძალვის მონაწილე ვართ. სამარადისო დიდება მათ, ვინც დაეცა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ეს გამარჯვება მოგვიპოვა.

დავით ჩალახეშაშვილის გამოცილება რუსეთიდან

**მიხა ბახურაშვილი** - ასეთი ემოციური მუხტი დიდი ხანია, არ განმიცდია. მეორე მსოფლიო ომი დიდი ტრაგედია იყო ჩვენი ხალხისთვის. უმოწყალოდ განადგურდა ჩვენი გენოფონდი, ისინი ჭაბუკებად დარჩნენ მარად. მე თავს ვიხრი 350 ათასი მებრძოლის წინაშე, ვინც ვერ დაბრუნდა სამშობლოში. მათი ძვლებით მოფენილია და სისხლით მორწყულია უზარმაზარი ტერიტორიები და მახსენდება პოეტის ნათქვამი: „სადაც ქართველი კაცი მარხია, ყველგან პატარა საქრთველოა!“

ისედაც ემოციური გარემო უფრო დაიმუხტა, როცა ოთხმოცდა ათ წელს გადაცილებულმა **მარიამმა** საყვარელი ძმა დაიტირა: ჩემო უყისმათო ძმაო, ჩემო ლამაზო, 20 წლის რომ წახვედი და 20 წლისავე დაბრუნდი, ჩემო დიდო ტკივილო. და დიდო სიხარელო, შენი სამარე ხომ გვეცოდინება და სანთელ-საკმეველს აღარ მოგაკლებთო.

უცნობ მამამთილს ცრემლი დააყარა და დაიტირა **ნინელი ჩალახეშაშვილმა**.

თავისი განცდები გაგვიზიარა პაპის მოსახელე **დავით ჩალახეშაშვილმა** უმცროსმაც: - როცა ეს ამბავი გავიგეთ, ძალიან გამიხარდა და, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში არანაირი ეკონომიკური საშუალება არ მქონდა, მტკიცედ გადავწყვიტე, ყველა ღონე მეხმარა და პაპის ნეშტი ჩამომესვენებინა. მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას, რომელიც მხარში დამიდგა, მადლობა ჩემს ბიძაშვილ გიორგის, რომელიც ამხელა გზაზე თან გამომყვა და თარჯიმანის მოვალეობასაც ასრულებდა. სიმართლე გითხრათ, ვღელავდი, როგორ დამხვდებოდნენ რუსეთში და, ჩემდა გასაოცრად, უნდა გითხრათ, რომ მათმა სითბომ და თანადგომამ მოლოდინს გადააჭარბა. დიდი პატივით გამოაცილეს პაპაჩემი სამხედრო მოსამსახურეებმა და მოსახლეობამაც კი. ის კი, რაც ვოლგოგრადში ქართულმა სათვისტომომ გააკეთა, ენით აუწერელია. მათ მონაწილეობა მიიღეს ყველა ცერემონიალში. ქართული სუფრაც კი გაშალეს და პაპაჩემის შესანდობარი თქვეს. ყველაფრისთვის დიდი მადლობა მათ. საღამოხანს ჩამვედით ოზაანში. იმ ღამეს სახლში დავასვენეთ მისი ნეშტი, მეორე დღეს, პირველ რიგში, მისთვის უცნობი და დანატრებული შვილის საფლავზე მივასვენეთ, მერე ეკლესიაში პანაშვიდი გადავუხადეთ და ბოლოს იმ მიწას მივაბარეთ, სადაც მან ფეხი აიდგა და მთელი ბავშვობა და მოწიფულობა გაატარა. მე ბედნიერი ვარ, რომ ადამიანების თანადგომით, ეს შევძელი.

სიხარულის და მწუხარების ცრემლი ერთმანეთში ირეოდა, ემოციით დატვირთული ადამიანები ცდილობდნენ, თითო მუჭა მიწა მიეყარათ იმ კაცის ნეშტისთვის, ვინც არა უკვე ერთ ადამიანს, არამედ მთელ პლეადას წარმოადგენდა, ვინც თავი შესწირა სამშობლოს თავისუფლებას, ვინც მარად ჭაბუკად დარჩა და უგზო-უკლოდ ჩაიფერფლა მათი სიცოცხლე. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და სოფლის ახალაზრდებთან ერთად, ნიჩაბს ძლივს რომ ერეოდნენ, ისეთი პატარა ყმაწვილებიც კი ღებულობდნენ მონაწილეობას გმირის დაკრძალვაში. ეს კიდევ ერთი დიდი მაგალითი იყო იმისა, როგორ უნდა გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა, როგორ უნდა შეგვეძლოს მისთვის ყველაზე დიდის - სიცოცხლის დათმობაც კი! ოცი წლის ჭაბუკად დარჩენილ დავით ჩალახეშაშვილს კი ამიერიდან დავიწყება აღარ უწერია.

ნარა გოგაშვილი.

# როდიდან იწყება გრიპის ვირუსის ცირკულაცია და როგორ დავიცვათ თავი სეზონური ვირუსისგან

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის პაატა იმნაძის განცხადებით, შარშან ამ დროსთან შედარებით, წელს გრიპის და გრიპის მსგავსი ვირუსული დაავადებების რიცხვი უფრო დაბალია, თუმცა, როგორც მან განაცხადა, გრიპის ვირუსის აქტიური ცირკულაცია უფრო ნოემბრის ბოლოდან, დეკემბრის დასაწყისიდან დაიწყება.

„გრიპის ვირუსის აქტიური ცირკულაცია უფრო ნოემბრის ბოლოდან, დეკემბრის დასაწყისიდან დაიწყება, უფრო ფართოდ კი იანვრის მეორე ნახევრიდან დატრიალდება ხოლმე. მისი პიკი თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისშია.

ახლა რაც ცირკულირებს, ესაა რინოვირუსი, პარაგრიპის ვირუსები, არის „ბოკა“ და „კორონა — ვირუსები“. გრიპის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს ვაქცინაციაც. სახელმწიფო განსაკუთრებით მაღალი რისკ ჯგუფების ადამიანების აცრას ახორციელებს. ესენი არიან მოხუცთა და ბავშვთა სახლებში მყოფი მოქალაქეები, სასწრაფო დახმარების ექიმები, დიალიზზე მყოფი პაციენტები და ასე შემდეგ“,- განაცხადა პაატა იმნაძემ.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, პაატა იმნაძე მოსახლეობას ხელების ხშირად დაბანას და მოსახლეობას გრიპის მსგავსი სიმპტომების შემთხვევაში სკოლაში, უნივერსიტეტში ან სამსახურში წასვლისგან თავის შეკავებას ურჩევს. მისი განცხადებით, დაავადების პირველი გამავრცელებლები ის მსუბუქი ავადმყოფები არიან, ვისაც ვირუსი აქვთ, მაგრამ აქტიურად დადიან ყოველდღიურად სასწავლო დაწესებულებასა თუ სამსახურებში. იმნაძის თქმით, სასურველია, ორსულმა ქალებმა თავის დაცვის მიზნით ხალხმრავალ ადგილებში სპეციალური პირბადით იარონ.

# როდის არ შეიძლება ანტიბიოტიკების გამოყენება და რას გვირჩევს ცნობილი პედიატრი

18 ნოემბერს ევროპის ანტიბიოტიკების შესახებ ცოდნის ამაღლების დღე აღინიშნება. როდის არის საჭირო ანტიბიოტიკების მიღება და რა უარყოფითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს მათ გამოყენებას, ამ თემაზე ცნობილი პედიატრი ყარამან ფაღავა გვესაუბრება.

- პირველი ანტიბიოტიკი შოტლანდიელმა მეცნიერმა ფლემინგმა აღმოაჩინა და ის „პენიცილინის“ სახელით არის ცნობილი. ჯერ კიდევ ფლემინგი ამბობდა, რომ თუ ექიმისთვის არ არის ცნობილი ზუსტი დიაგნოზი, ანტიბიოტიკი ისე არ უნდა დავნიშნოთ. მან ფაქტობრივად იწინასწარმეტყველა, რომ ანტიბიოტიკმა შეიძლება გვერდითი შედეგებიც გამოიღოს, უარყოფითი გამოვლინებებიც ჰქონდეს და საერთოდ არ იყოს ეფექტური. საზოგადოებამ იცის, რომ ანტიბიოტიკი მედიცინის უდიდესი გამარჯვებაა. ამბობენ, რომ ანტიბიოტიკებმა და აცრებმა, დაახლოებით, 10-20 წლით გაზარდა ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ციფრია. არსებობს ანტიბიოტიკების სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც ძალიან ეფექტურად მოქმედებს დაავადებებზე. მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს - ავერსი და რევერსი. ხშირად ანტიბიოტიკი დაუსაბუთებლად ინიშნება. მინდა ერთი კლინიკური მაგალითი გავიხსენო. მე რომ ახალგაზრდა ვიყავი, იმ დროს ფილტვების ანთებას შესანიშნავად ვმკურნალობდით პენიცილინით. სხვა წამალი პრაქტიკულად არც არსებობდა. ახლა უძვირესი და უძლიერესი ანტიბიოტიკები ინიშნება, ზოგჯერ კი შედეგი არ არის, უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც თერაპიული მიდგომა პაციენტს ვერ შველის და საჭიროა ქირურგიული ჩარევა. მკურნალობა გაძნელდა, იმის გამო, რომ ანტიბიოტიკების გამოყენება უსისტემოდ, დაუსაბუთებლად ხდება. ორგანიზმში იზრდება ანტიბიოტიკებისადმი მდგრადობა. მიკრობი ცოცხალი არსებაა, რომელსაც ადაპტაციის უნარი აქვს. თუ ჩვენ სწორად არ დავნიშნავთ ანტიბიოტიკს, ეს მდგრადი რეზისტენტული მიკრობების შტამები გამრავლდება. ჩვენ ძალიან დიდი პრობლემის წინაშე ვდგებით, როდესაც სხვადასხვა ჯგუფის ან ყველა სახის ანტიბიოტიკისადმი რეზისტენტული ხდება მიკრობი. ეს პრობლემაა საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისითაც, მკურნალობა ძვირდება, მკურნალობის ხანგრძლივობა იზრდება, მატულობს გართულებები. ვფიქრობ, ავადმყოფის საწოლთან განსაკუთრებით პრაგმატული უნდა იყოს ექიმი, მშობელმაც და ექიმმაც უნდა იცოდნენ, რომ ანტიბიოტიკების დანიშვნა მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც ეს საჭიროა. ამასთანავე დანიშვნა უნდა იყოს სწორი, მომხმარებელიც ექიმის დანიშნულებას არ უნდა არღვევდეს — ვგულისხმობ ოპტიმალურ დოზასა და დანიშვნის ხანგრძლივობას.

**- როდის არის საჭირო ანტიბიოტიკების დანიშვნა?**

- ტუბერკულიოზის, სეფსისის, საშარდე გზების ინფექციების, ფილტვების ანთების, მენინგიტის, სახის მიდამოში ჩირქგროვების, ჰაიმორიტის, ფრონტიტის, ყურის ანთების დროს, ჩირქოვანი ანგინის დროს განსაკუთრებით მაშინ, თუ ის სტრეპტოკოკით არის გამოწვეული. ასეთი ანგინა შესაძლოა მკურნალობის გარეშეც მორჩეს, მაგრამ შესაძლოა განვითარდეს რევმატიზმი. ანტიბიოტიკის გამოყენება საჭიროა ეპიგლოტიტის (ხორხსარქველის ანთება) დროს, კრუპის დროს, რომელიც ბაქტერიულიც შეიძლება იყოს. ანტიბიოტიკი უნდა გამოვიყენოთ კუჭის წყლულის დროს. კუჭის წყლულს იწვევს ჰელიკობაქტოფილორი, რომელიც გადამდებია. ამიტომ მისი მოსპობისათვის

აუცილებელია ანტიბიოტიკის გამოყენება. ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ბაქტერია იმათში, ვისაც აქვს გენეტიკური განწყობა, სიმსივნის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. აუცილებელია ქუნთრუშის დროსაც გამოვიყენოთ, რადგანაც თუ არ მივეცით, გლომერულონეფრიტისა და რევმატიული ცხელების განვითარების ალბათობა მკვეთრად მატულობს. ყივანახველას დროს ანტიბიოტიკის გამოყენება გავლენას არ ახდენს დაავადების მიმდინარეობაზე, მაგრამ ეს გადამდები დაავადებაა. თუ ამ დროს ანტიბიოტიკს გამოვიყენებთ, ბავშვი 7 დღეში უკვე შეგვიძლია დავუშვათ ბავშვთა კოლექტივში. არის ასეთი ებრაული სიბრძნე: „უნდა იცხოვრო კანონის მიხედვით, მაგრამ არ უნდა მოკვდე კანონის გამო“ პარადოქსალურად ჟღერს, მაგრამ რესპირატორული ინფექციების დროს ანტიბიოტიკი არ გვჭირდება. თუმცა დადგენილია, რომ ზოგჯერ ვითარდება ვირუსულ-ბაქტერიული შერეული ინფექციაა, ამის დადგენა ექიმის პრეროგატივაა. მშობელმაც უნდა იცოდეს, რომ 5-6, მაქსიმუმ 7 დღე რესპირატორული ვირუსით გამოწვეული სიცხე დასაშვებია და საგანგაშო არ არის. მაგრამ თუ სიცხის ხანგრძლივობამ იმატა, მაშინ ეს საგანგაშოა და უკვე ანტიბიოტიკი გვჭირდება.

**- როდის არ გვჭირდება ანტიბიოტიკი?**

- სამწუხაროდ, ექიმები ხშირად ნიშნავენ ანტიბიოტიკების იმისთვის, რომ არ განვითარდეს ესა თუ ის დაავადება, ე.ი. პროფილაქტიკისათვის. მაგალითად ყელის სინითლის დროს ანტიბიოტიკი საჭირო არ არის. მისი გამოყენება საჭირო ხდება, როდესაც ყელში ჩირქია. არც ბრონქიტს სჭირდება ანტიბიოტიკი. დადგენილი და დაზუსტებულია, რომ რესპირატორული ვირუსული ინფექციის დროს გინდა გამოიყენეთ ანტიბიოტიკი, გინდ არა, 5-10% მაინც გართულდება. ანტიბიოტიკის გარეშე რესპირატორული ინფექცია თავისითაც გაივლის. ასევე შეზღუდულია მისი დანიშვნა ფაღარათის დროს.

**- რა შეიძლება გამოვიყენოთ ანტიბიოტიკების გამოყენების შემცირების მიზნით?**

- ერთ-ერთი ალტერნატიული მეთოდი მკურნალობისა, რომელიც ანტიბიოტიკების რაოდენობის გამოყენების შემცირების ან მისი ეფექტურობის გაზრდის საშუალებას გვაძლევს, არის ბაქტერიოფაგი. დღეს მთელ მსოფლიოში მატულობს ამ პრეპარატისადმი ინტერესი. ამის მიზეზი სწორედ ანტიბიოტიკების ნაკლები ეფექტურობა, მათი გვერდითი მოქმედებები და მათდამი მიკრობული რეზისტენტობის საგანგაშო ტენდენციაა. მით უმეტეს, ფაგებს უარყოფითი ეფექტები პრაქტიკულად არ აქვს.

**- რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს ანტიბიოტიკების გამოყენებას?**

- ანტიბიოტიკების გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს ალერგია, სოკოვანი დაავადებები, ღვიძლის, თირკმლის დაზიანება. ყველა ანტიბიოტიკი არის გარკვეულწილად იმუნოდეპრესანტი და აქვეითებს იმუნიტეტს. მისი გამოყენების შედეგად ვითარდება დისბიოზი. ჩვენ, მოზრდილ ადამიანებს ორგანიზმში 2-3 კგ „მეგობარი“ ბაქტერია გვყავს. ანტიბიოტიკი არა მარტო „ცუდ“ ბაქტერიებს, არამედ ჩვენ „მეგობარ“ ბაქტერიებსაც კლავს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, რთული პრობლემაა რეზისტენტობის განვითარება ანტიბიოტიკების მიმართ. ბევრი უცხოელი მკვლევარი აღნიშნავს, რომ მსოფლიოს მრავალი წამლის მიმართ რეზისტენტული ინფექციური აგენტებით გამოწვეული დაავადებების პანდემია ემუქრება და ეს საგანგაშო პერსპექტივაა.

დაუშვებელია ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობა. ხშირად ავადმყოფი თუ თავს უკეთესად იგრძნობს, თავად შეწყვეტს ხოლმე ექიმის მიერ დანიშნულ მკურნალობას. ეს დაუშვებელია. პაციენტმა უნდა იმკურნალოს იმდენ ხნას, რამდენ ხანსაც ექიმი ეტყვის. მცირე დოზის გამოყენება და ანტიბიოტიკის ხანმოკლე დროით მიღება არის “საუკეთესო გზა“ ანტიბიოტიკორეზისტენტობის განვითარებისა. ზოგჯერ მშობლები ამბობენ, ჩემს შვილს ეს ანტიბიოტიკი შველისო და ასმევენ ერთსა და იმავეს. ერთი და იგივე ანტიბიოტიკის მიღება დასაშვებია მაქსიმუმ 6-8 თვეში ერთხელ. მონათესავე ჯგუფის ანტიბიოტიკებიც კი შეზღუდულად უნდა დაინიშნოს აუცილებლობის შემთხვევაში.

ანტიბიოტიკორეზისტენტობასთან ბრძოლის ელემენტები შემდეგია:

არ დავნიშნოთ ანტიბიოტიკი, როცა ის საჭირო არ არის.

თუ დავნიშნეთ, მაშინ მკურნალობა ბოლომდე უნა მივიყვანოთ.

არ შეიძლება მცირე დოზის გამოყენება.

რაც გინდა კარგი ანტიბიოტიკი იყოს, თუ სიცხის დროს ვნიშნავთ და შედეგს არ გვაძლევს 48-72 საათში, ის შესაცვლელია.

საბოლოოდ ისევ გავიმეორებდი, ანტიბიოტიკი „სასწაული“ წამალია, მაგრამ მკურნალობა ახლა და მომავალში ეფექტური რომ იყოს, იგი სწორად უნდა ინიშნებოდეს.

**პრაქტიკული რჩევები მშობლებს:**

- კარგად უნდა ვიცოდეთ საკუთარი გენეალოგია, რა დაავადებები იყო გავრცელებული, რითი ილუპებოდნენ ნინაპრები, ნათესავები. ეს ყველაფერი საჭიროა იმისთვის, რომ თავის დროზე მოვახდინოთ ამა თუ დაავადების გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილება, პრევენცია და დროული მკურნალობა.
- მშობლებმა უნდა იცოდნენ სუნთქვის დათვლა. ეს სულაც არ არის ძნელი. როცა ბავშვი წევს ან სძინავს, დაადეთ წამმზომიანი საათი გულმკერდზე და დაითვალეთ, რამდენჯერ აინევა გულმკერდი 1 წუთის განმავლობაში. 2 თვემდე სუნთქვა ხშირად არარეგულარული არის, მაგრამ 60-ს არ უნდა მიაღწიოს. 2 თვიდან 1 წლამდე ნორმა 50-ზე ნაკლებია. ხოლო 1 წლიდან 5 წლამდე ნორმა არის 40-ზე ნაკლები. თუ ეს ნორმები დარღვეულია, მიმართეთ ექიმს.
- ქალებში ძალიან ხშირი დაავადებაა ძუძუს კიბო. როგორც პედიატრი და როგორც პატრიოტი ვურჩევ ყველა დედას, გააჩინონ შვილები, მისცენ ბავშვს ძუძუ. ცნობილია, რომ თუ დედამ 3-4 ბავშვი ბუნებრივ კვებაზე გაზარდა სიმსივნის განვითარების რისკი პრაქტიკულად 0-ის ტოლია

**გვერდის მასალები მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

**მონატრება**

## მიხა შარმაზანაშვილი

გამიგონია, სიკვდილი მარტო იმის ხვედრია, ვინც ცოცხლებისგან დავიწყებულიაო.

ჩემო მარად ჭაბუკო ძმაო, უკვე 10 წელია, რაც ტრაგიკულმა შემთხვევამ მოულოდნელად წაგვართვა შენი თავი. ალალი, კეთილი, ხელგაშლილი. შრომისმოყვარე, - აი, ასეთი იყავი ყოველთვის.

შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად მრავალი აუხდენელი ოცნებაც ჩაიფერფლა. უამრავ ადამიანს ატკინე გული. უცრემლოდ ვერავინ გიგონებს როგორ ხარობდი შენი პატარა შვილებით, მაგრამ ვაი, რომ მათი გაზრდა შენ არ დაგცალდა თორნიკემ უკვე სამხედრო სამსხური მოიხადა, ხოლო ლელა წელს ამთავრებს სკოლას. დაიზარდნენ ობლები, ოღონდ უშენოდ.

ბექასაც ხომ შენ ზრდიდი, ძმაო, ისიც დავაჟკაცდა და ჯარში წავიდა.

დრო მხოლოდ მოგონებებს გვიტოვებს. საყვარელი ადამიანის მონატრება უსასრულობაში გადადის. სულ ტყუილი ყოფილა, თითქოს მიწა გრილია და დრო მკურნალიაო. რაც დრო გადის, მით უფრო მტანჯველი სევდა გვეუფლება ყველას. დედას მოძალებული ცრემლისაგან თვალის ჩინი დააკლდა. მამა კი ისე მოხუცდა...

ულმობელმა სიკვდილმა ერთმანეთს ფიზიკურად დაგვაშორა, მაგრამ არ იფიქრო, ძმაო, სიკვდილი შესძლებს შენდამი სიყვარულის განელებას. შენ ჩვენს გულებში აგრძელებ სიცოცხლეს.

3 ნოემბერს, შენს დაბადების დღეზე, ისევ მოვალთ შენს საფლავზე მარად 29 წლის ვაჟკაცო. მოვალთ შენი ახლობლები: დედა-მამა, ცოლ-შვილი. ძმა, ძმისშვილები, რძალი, დები დისშვილები ბიძა. მოვალთ და ცრემლიანი თვალებით მოგეალერსებით. შენი სულის საოხად ავანთებთ ბევრ სანთელს. დაე, ჩვენგან ანთებულმა სანთელმა გაგინათოს და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

შენი ძმა დათო, რძალი ელიზა, ძმიშვილები; ჯულიეტა და ეთო შარმაზანაშვილები.

# ციფრული მაუწყებლობა და უკმაყოფილო მოსახლეობა

## ციფრული სიგნალი ოთახის ანტენისთვის გათვალისწინებული არ არის, აუცილებელია გარე ანტენა

(მესამე გვერდიდან)

დავით ზილფიმიანი პირველი იყო, რომელმაც თბილისში პირველი სიხშირული რადიომაუწყებლობა და რადიოგადამცემები შექმნა. მისი გამოცდილება და შესაძლებლობები ცნობილია, ამიტომ ისედაც ვაპირებდი პირადად მასთან დარეკვას, უბრალოდ ჯერ საკონტაქტო ნომერი არ მქონდა და ამ მიზეზით თავად დამასწრო.

მისი ზარიდან რამდენიმე დღეში ოცამდე ქართული ტელეარხი კიდევ გაითიშა. უკვე დარეკვა დავაპირე, როცა აღმოვაჩინე, რომ დედოფლისწყაროსთვის განკუთვნილი სიხშირე შეიცვალა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მანამდე „სტერეო+“- ქართულ არხებს დედოფლისწყაროს ანძიდან 682 მეგაჰერც სიხშირეზე ავრცელებდა, ამჯერად კი 43-ე არხზე 650 მეგაჰერც ტალღაზე გადაინაცვლა. ანუ, მათთან, ვინც სეთთოფბოქსი ხელახალ ძებნაზე არ მომართა, ეს არხები ისევ გათიშულია, თუმცა, თუ ხელახლა მოძებნი, სხვა სიხშირეზე მიიღებ ყველა არხს და გაცილებით უკეთესი ხარისხით.

საერთოდ, ეს სიხშირეები რაიონების მიხედვით წინასწარ შერჩეული და განსაზღვრულია და მისი ცვლილება არ ხდება. ისინი რაიონების მიხედვით განსხვავდება, რათა ერთმანეთთან ხელშეშლა არ ჰქონდეს და ასევე, არ შეაფერხოს მეზობელი ქვეყნების მაუწყებლობა. ამდენად, როგორც პროფესიით ტელერადიო ჟურნალისტს, გამიკვირდა ახალი სიხშირის გამოყენება რომ დაიწყეს, მითუმეტეს ჩემი ზარიდან რამდენიმე დღეში. თუმცა, ფაქტია, რომ წინა სიხშირესთან შედარებით აქ მაუწყებლობა ბევრად უფრო ხარისხიანად მოდის და ხარვეზები არც ცუდ ამინდებში შემიმჩნევია.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, აქამდე არსებული ანალოგური სიგნალისგან ციფრული მაუწყებლობა სრულიად განსხვავებული სპეციფიკისაა. თუ აქამდე ერთ ტელეარხს ვიღებდით, ფიფქების და შხრიალის თანხლებით, იმ ადგილას ახლა რვა არხის გატარებაა შესაძლებელი და უფრო სუფთა ხარისხით. ასევე, სპეციალისტები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ ციფრული მაუწყებლობა ოთახის ანტენისთვის გათვალისწინებული არ არის და აუცილებელია გარე ანტენა გამოვიყენოთ, რომელიც სახლის ჭერზე იქნება დამონტაჟებული. აუცილებელი პირობაა ისიც, რომ თქვენი ანტენა მიატრიალოთ და პირდაპირ უყურებდეს დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძას. ასე მიღების სიმძლავრე და ხარისხი ბევრად უკეთესია. პირადად დავრწმუნდი, რომ ანტენის შეტრიალება ბევრად აუმჯობესებს ხარისხს. სეთთოფბოქსის მენიუს აქვს ხარისხის და სიმძლავრის მაჩვენებელი, რომელიც ყველა არხზე გაჩვენებთ რამდენი პროცენტი სიხშირით იღებს თქვენი ანტენა. თუ გადაცემები თქვენთან ისევ „ჭედავს“, სწორედ ეს პროცენტულობა უნდა გააკონტროლოთ. ნორმალურ პირობებში 70-80-100%-ით უნდა მოგეწოდებოდეთ, ხოლო იმ ადგილებში, სადაც სიმძლავრე 40%-ზე დაბალია, აუცილებლად ექნება ხარვეზები და პირველ რიგში ანტენის გაძლიერებაზე უნდა იზრუნოთ.

## „ობიექტივი“ დედოფლისწყაროს ანძიდან ჩაირთო

თუ ისევ ოთახის ანტენით სარგებლობთ, სავარაუდოდ ხარვეზები ხშირი იქნება. მითუმეტეს თუ ისეთ ოთახში ხართ, სადაც ანტენას დიდი კედლები და სხვა შენობები ეფარება, ასე შედეგს ვერ მიაღწევთ. აუცილებელია გარე ანტენა, თუნდაც ძველებური, თუნდაც მავთულებით გაკეთებული. ყველანაირი გარე ანტენა გამოგადგებათ, მთავარია, რაც შეიძლება მაღლა იყოს დამონტაჟებული და პირდაპირ ხედავდეს ანძას.

თუ რომელიმე სასურველ არხს კარგავთ და პერიოდულად ვეღარ პოულობთ, გირჩევთ ასეთ შემთხვევებში სეთთოფბოქსი ხელახლა ძიებაზე გაუშვათ და თავიდან დააპროგრამოთ არხების ჩამონათვალი. ავტომატური ძიება თავად დაალაგებს ყველაფერს. მექანიკური ხელით ძიებისას კი გახსოვდეთ, რომ უნდა ეძებოთ 22-ე არხის 482 მეგაჰერცზე; 27-ე არხის 522 მეგაჰერცზე და 43-ე არხის 650 მეგაჰერც სიხშირეებზე.

ამ ეტაპზე სოფელ არგოშიკში კიდევ ერთი სატელევიზიო ანძის მონტაჟი მიმდინარეობს, რომელიც არგოშიკის და ოზაანის მოსახლეობას ციფრულ მაუწყებლობას მიაწვდის. სპეციფიური რელიეფის გამო დედოფლისწყაროს ანძიდან სიგნალი ამ სოფლებამდე ვერ აღწევს, რის გამოც დამატებითი ანძის დადგმა გახდა აუცილებელი.

ილია მარტყოფლიშვილი




# ულოცავენ!

### ნიკოლოზ ხუციშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ქართული ოცნება-რეგიონალების“ თავმჯდომარეს, ნიკოლოზ ხუციშვილს და მაკა გიგოლაშვილს ულოცავს ქალიშვილის დაბადებას. პატარა ანუკის კი უსურვებს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ბედნიერ და მზიან საქართველოში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

### ზაზა სეხნიაშვილს!
### რუსუდან კიკილაშვილს!

ჩვენო ზაზა და ჩვენო რუსუდან, გილოცავთ ოჯახის შექმნას. ეს ჩვენ ძალიან გვახარებს და იმედი გვაქვს, სიცოცხლის ბოლომდე საგზლად გაგყვებათ დღევანდელი ურთიერთსიყვარული და მსუბუქად ატარებთ მეუღლეობის არცთუ იოლსა და მსუბუქ ტვირთს. გვინდა, გაიხაროთ, იცოცხლოთ დიდხანს, იყოთ ჯანმრთელნი და ბედნიერნი. გამრავლდით! უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის!

**სიყვარულით და პატივისცემით,**
ნაირა, ციხელო, გულნარა, სპარტაკი, ანგელინა, მანანა და ლეილა გორაშვილები ოჯახებით.

### ლიკა ლეკიაშვილს!
### პაატა ზუბაშვილს!

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ ნამდვილი ქართული ოჯახის შექმნას და გამრავლებას. დაე, ცხოვრების ბოლომდე გაგყოლოდეთ ეს სიყვარული!

სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის
დედოფლისწყაროს სერვისცენტრი.

### მარინა ტოკლიკიშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას, ბედნიერ დედობას, წარმატებას პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.დიდი მადლობა ჩვენზე ზრუნვისთვის, ადამიანური სითბოსთვის.

**ყოველივე კეთილი სურვილებით და მადლიერებით,**
სათნოების სახლი „სავანეს“ ბინადარნი.

### შორენა გოგაშვილს!
### რამაზ ჯანაშვილს!

გილოცავთ ქორწინებას. გისურვებთ ლამაზი ქართული ოჯახის შექმნას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს. აკვანთა სიმრავლეს და ჩვილის ტირილი არ მოჰკლებოდეს თქვენს ჭერსა და ფუძეს. სიყვარული და ურთიერთპატივისცემა იყოს მტკიცე საძირკველი თქვენი თანაცხოვრების დიდ გზაზე. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

**სიყვარულით,**
**მამიდები:** მანანა და მერი გოგაშვილები, **მამიდაშვილები:** სოფო და მაკა ლაკიაშვილები, ნინო და ნონა ჯანაშვილები ოჯახებით.

## იცით თუ არა,რომ?

1. თურმე თეთრ სახლში 13.092-ზე მეტი დანა, ჩანგალი და კოვზია.
2. თითის ანაბეჭდის მსგავსად, ყველას ენის ანაბეჭდიც განსხვავებულია.
3. ტოკიოში ველოსიპედი უფრო სწრაფია, ვიდრე მანქანა.
4. ლას ვეგასის ვერც ერთ კაზინოში ვერ ნაახავთ საათს.
5. მონა ლიზას არ ჰქონდა წარბები. რადგან, რენესანსის ხანაში მოდაში იყო მათი მოპარსვა.

## ყურადღება!

იყიდება ორსართულიანი სახლი ქალაქ დედოფლისწყაროში, ორი ეზოთი, სანაკვეთე ადგილით და ყველა აუცილებელი სათავსოთი, გაზი და წყალი შეყვანილია. მის: ალადაშვილის ქ. №32. დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
599 934127 მზია

## ამინდი — დედოფლისწყარო

| ორშაბათი 02.11 | | სამშაბათი 03.11 | | ოთხშაბათი 04.11 | | ხუთშაბათი 05.11 | | პარასკევი 06.11 | | შაბათი 07.11 | | კვირა 08.11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 2° | 0° | 5° | 0° | 9° | 4° | 5° | 4° | 7° | 4° | 8° | 5° | 8° | 5° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.